საქართველოს მთავრობის

დადგენილება №625

2025 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის №131 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/05/2025, 450010000.10.003.025022) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის:

1. „ძ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ძ^{1}) სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;“.

2. „ჰ^{16}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. „ჰ^{34}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{34}) სსიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი;“.

4. „ჰ^{39}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{39}) სსიპ – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**